

ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2-4 საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე ორ ოთახზე, მოქალაქე იური კაპანაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამი განხილული იქნა მოქალაქე იური კაპანაძის განცხადება /2012 წლის 23.03 Nკ-2462/, რითაც ითხოვს საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე ორ ოთახზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2-4 საცხოვრებელი სახლი/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2-4 საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე ორ ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე იური კაპანაძეს /პირადი N60001099867/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ბალანჩივაძის ქუჩა N2-4 საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე მდებარე ორ ოთახზე /საერთო ფართობი 27,33 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 27,33 კვ.მ./ მოქალაქე იური კაპანაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიამ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევლორაძე